№ 58
ხუთშაბათი, 16 მარტი, 1900 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 58
ხუთშაბათი, 16 მარტი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲒᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ?
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227


## ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐ
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ". განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲒᲐᲚᲝ
### ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერავად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელ-საქმისას.

ტფილისი, გიორგიევის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვის და ხელ-საქმის სახელოსნოს გამგე ანნა მერკვილაძისა.
(10—74—3)

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ
შაბათს, 18 მარტს,
ქართული თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I
### გემრიელი ლუკმა
კომედ. 3მოქ., გადმ. დ. ერისთავისაგან

II
### დივერტისმენტი

მონაწილეობას ღებულობენ: ქ ნნი ჩერქეზიშვილისა, კარგარეთლი, გარცეული; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, ადამიძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე.

## ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

ᲓᲘᲚᲘᲗ:

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1 1/2—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1 1/2 საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ზ. ზურკო.** 1 1/2—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7—7 1/2 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.**
**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**
(—1—წ).



გამგეობა კავკასიის მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენთა და თავშესაფართა საზოგადოებისა,

ამ საზოგადოების წესდების მე-16 §-ს თანახმად, უმორჩილესად სთხოვს წევრებს მობრძანდნენ

## ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ,

რომელიც კვირას, 26 მარტს, ნაშუადღევის პირველ საათზე მოხდება ტფილისის სამოსამართლო პალატის სადგომში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, გამგეობის 1899 წლის მოქმედების ანგარიში.

2, 1899 წლის შემოსავალ გასავლის ანგარიში.

3, გამასწორებელ ახალშენის 1899 წლის მოქმედების ანგარიში.

4, 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

5, სარევიზიო კომისიის მოხსენება 1899 წლის ანგარიშისა და 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

6, საზოგადოების საპატიო წევრად არჩევა საქართველოს ექსარხოსის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანესი.

8, მოხსენება საზოგადოების წევრის ა. ი. მანთაშევის შემოწირულების შესახებ.

9, მოხსენება კ. კ. ჭყონიას მიერ ახალშენის დირექტორის თანამდებობიდგან გადადგომის შესახებ.

შენიშვნა. საზოგადო კრება კანონიერად იქმნება ჩათვლილი, თუ 20 წევრი მაინც დაესწრო (საზოგადოების წესდების მე-17 პარაგრაფი).

(3—6.—1)

ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა აცნობებს თავისს წევრებს, რომ კვირას, ამა წლის 26 მარტისთვის, დანიშნულია **ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ**

## კ რ ე ბ ა,

დილის 10 საათზედ, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, 1899 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

2, 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

3, ერთის დირექტორის არჩევა.

4, საბჭოს ოთხის დეპუტატის არჩევა იმათ ნაცვლად, რომელთაც ვადა გაუვიდათ.

5, სარევიზიო კომისიის სამის წევრის და მათის კანდიდატების არჩევანები.


# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

## ᲥᲝᲖᲔᲢᲢᲐ ᲛᲐᲠᲡᲔᲜᲘ.
(ერნესტო დოდეს ისტორიული მოთხრობა)

### I

4 ღვინობისთვეს 1797 წლისას, ანუ 18 ფრუნკტიდორს *) მეხუთე წლისას საფრანგეთში რესპუბლიკის დაარსების შემდეგ, იქნებოდა ასე საღამოს ათი საათი, რომ შანტერენის ქუჩაზედ გამოჩნდა ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, გამოწყობილი მოხდენილს, მაგრამ ამასთანავე საშინლად გამტვერიანებულს ტანთ-საცმელში, რომელიც ალაგ-ალაგ დაჰგლეჯ-დაჰფხრეწოდა; ყოველი მისი მიმოხვრა, მისი ღირსებით სავსე სახე გაფიქრებინებდათ, რომ ის უეჭველად მაღალ წოდების საზოგადოებას უნდა ჰკუთვნებოდა. ამ დროს რომ შეხვედროდა ერთ-ერთი პატრულთაგანი **), რომელნიც ამ საღამოს დადიოდნენ მთელს პარიჟში,—მისი აჩქარებული ნაბიჯი, შუბლზედ ჩამოფხატული შლიაპა და დასისხლიანებული, შეხვეული ხელი უეჭველია მიზეზს მისცემდა საეჭვოდ ეცნოთ და დაეჭირათ; ყველას თვალში ეცემოდა, პირველსავე შეხედვაზედ, მისი მეტისმეტად მოქანცული და უიმედობით სავსე გამომეტყველება, რომელიც არათუ სახეზედ, ყოველს მოძრაობაშიაც-კი ემჩნეოდა.

შანტერენის ქუჩა, აწინდელი ვიქტუარისა, იმ ხანად შეადგენდა პარიჟის ერთ-ერთ იმ მიყრუებულს ქუჩათაგანს, სადაც რა ერთხელ მოექცეოდა გამოქცეული, ან დევნილი, თავი შედარებით გადარჩენილად მიაჩნდა. ბნელი ღამე იყო. ერთის ბაღის წინ მოაჯირთან, ქუჩის პირად, ორი უშველებელი ცაცხვი იდგა, რომელთ მაღალი წვეროები შეერთებულიყო და ახლო-მახლო ადგილები უფრო ჩამოებნელებინათ.

ახალგაზდა კაცმა მიაშურა ამ ადგილს და აქ თითქოს დამშვიდებით ამოისუნთქა. მთელის დღის განმავლობაში ხეტიალისაგან დაღალულს და ქანც-გაწყვეტილს მხოლოდ აქ ეღირსა ცოტაც არის დასვენება. დილითგან დაწყებული აქამდე გაურბოდა და ემალებოდა ჯარს, რომელსაც მთელი პარიჟი დაეჭირა დირექტორიის ***) გენერალ ოჟეროს წინამძღოლობით. დღეს გათენებისას რიშელიეს ქუჩაზედ სასტუმროს ბიჭმა, სადაც ჩამომხტარიყო ჩვენი უცნობი, შეატყობინა-რა მოულოდნელი და სასტიკი ღონისძიებანი ეხმარა დირექტორიას შეთქმულთა წინააღმდეგ. საჩქაროდ წამოვარდა ზეზედ, ტანთ ჩაიცვა და გამოვარდა ქუჩაზედ იმ განზრახვით, რომ მიეტოვებინა პარიჟი და სხვაგან გაქცეულიყო; მაგრამ, საუბედუროდ, ყველა გასასვლელ ადგილებს მცველები იცავდნენ; იძულებული იყო დაბრუნებულიყო ისევ ქალაქში და აქ საიმედო თავშესაფარი მოენახა; მაგრამ ამის იმედიც გაუცრუვდა, რადგან გამოცხადებული იყო, რომ ყველა, ვინც-კი გაბედავდა განდევნილთა და მეამბოხეთ დაფარვას, სასტიკად იქმნებოდა დასჯილი, და ისიც ძალა უნებურად დაეხეტებოდა მთელი დღე ერთის ქუჩიდგან მეორეზედ.

ამ ხეტიალის დროს შეიტყო, რომ მომეტებული ნაწილი იმის ახლო მეგობრებისა დაეპატიმრებინათ კიდეც და ამასთანავე ჰნახა კედლებზედ გაკრული განცხადებანი, რომელშიაც მისს საკუთარს ნიშნებსაც აღწერდნენ და აცხადებდნენ, რომ მისი თავი ამა და ამ ფასად არისო დაფასებული; ერთის სიტყვით, ის კანონისაგან უარ-ყოფილად იყო ცნობილი. ბოლოს დაჰქრეს მარცხენა მკლავში სწორედ იმ დროს, როდესაც სცდილობდა შეუმჩნევლად გადასულიყო სენ-პიერის ხიდზედ, იმისდა მიუხედავად, რომ ამ ხიდზედ მიმოსვლა სასტიკად იყო აღკრძალული. რაღაცა სასწაულით გადარჩა, მაგრამ საშინელი დაღალულობა უკვე აგრძნობინებდა თავს და თუმცა ჭრილობიდგან, რომელიც სიჩქარისაგან რიგიანად ვერ შეეხვია, აღარა სდიოდა სისხლი, მაგრამ სამაგიეროდ აუტანელი ტკივილი სულს უხუთავდა საბრალოს.

— რა ვქნა? საით წავიდე? რითი უშველო თავს? — განწირულის ხმით ეკითხებოდა იგი თავისს თავს.

უცებ ღამის მყუდროება რაღაც ხმაურობამ დაარღვია. წამოხტა მაშინვე ზეზე, მთლად სმენად გარდაიქცა, და თან საღის ხელით წამოსასხამს ქვეშ დამალულ დამბაჩასა სწვდა. მოშორებით აშკარად მოისმა მცველების ზომიერ ნაბიჯის ხმა რომელნიც ქვაფენილზედ მძიმედ მოაბიჯებდნენ. ამავე დროს იქვე ახლოს მოისმა ფანჯრის გაღების ხმაც. იმან გაიხედა იქით, საიდგანაც ეს ხმაურობა მოისმა, და ქუჩის მეორე მხარეს, დაბალის სახლის მეორე სართულში დაინახა გაღებული ფანჯარა, რომლის სინათლეზედ აშკარად გამოიხატა ქალის ნაკვთი. ეს შემთხვევა მოულოდნელად ეხმარებოდა და იმანაც სწრაფად შეჰყვირა ვედრებით:

— ვინც უნდა იყოთ, გევედრებით მომცეთ თავშესაფარი! გამოქცეული ვარ და წუთით-წუთზედ შესაძლოა გამოჩნდნენ ჯარის-კაცნი, რომელნიც დილას აქეთია ყველგან მდევნიან და დამეძებენ.

გულის კანკალით მოელოდდა პასუხს. უცებ ფანჯრიდგან მოესმა ნაზი, წკრიალა ხმა.

— კარებს ვერ გაგიღებთ, მეშინიან ამით არ გაგცეთ,—მაგრამ მაინც ვეცდები, გიშველოთ, მომი-

*) ფრუნკტიდორი—მეთორმეტე თვე საფრანგეთის პირველ რევოლიუციისა.

**) პატრული—სამხედრო დარაჯნი, დანიშნულნი ღამით ქუჩების სადარაჯოდ.

***) დირექტორია,—ხუთი კაცისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელსაც საფრანგეთში 1795—99 წლებში კონვენტმა ქვეყნის მართვის უფლება მიანიჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების წესდების მე-36 §-ის თანახმად რწმუნების ქაღალდი საზოგადო კრებაში მონაწილეობის მიღებისა გამგეობას უნდა წარედგინოს სამის დღით ადრე კრებამდე, ე. ი. არა უგვიანეს 22 მარტისა.

(3—6.—2)

ტფილისი, 15 მარტი

ჩვენ წინა წერილში *) ავნიშნეთ, რომ საჭიროა გამოირკვეს ორთა შუა სახის მამულის ორთა-შუა შემოსავალი დღიურზე. რა თქმა უნდა, ეს ორთა-შუა შემოსავალი ვენახისა სხვაა, სახნავისა, ტყისა, საძოვრისა სხვა. ამიტომაც საადგილ-მამულო გადასახადის სიმართლით გაწერისათვის უფრო სასურველია, რომ ამ თვითეულ ცალკე დარგის მამულისათვის ცალკე იყოს ორთა-შუა წმინდა შემოსავალი გამოყვანილი და თვითეულის კვალობაზე ცალკე დანიშნული იყოს იგი წილი ორთა-შუა წმინდა შემოსავლისა, რომელიც საადგილ-მამულო გარდასახადმა უნდა ირგუნოს თვითეულ ცალკე დარგის მამულის დღიურისაგან, ესე იგი, ვენახის დღიურზე, სახნავისა, ტყისა და საძოვრისაზე ცალკე. მაშინ ვისაც რამდენი დღიური აღმოუჩნდება თვითეულ დარგის მამულისა, იმის კვალობაზე გამოერთმევა საადგილ-მამულო გადასახადიც იმ დარგის მამულის ორთა-შუა წმინდა შემოსავლიდამ, დღიურობაზე გამორკვეულიდამ.

ეჭვი არ არის, რომ ეგრეთი განთვითვეულება ორთა-შუა წმინდა შემოსავლისა და აქედამ ეგრე დარგ დარგად გაწერა საადგილ-მამულო გადასახადისა, უფრო შეუცდომელი, უფრო ზედ-მიწევნილი და მართალი იქნება, ვიდრე მაშინ, თუ ამა სხვა-და-სხვა დარგის მამულის შემოსავალს ერთმანეთში აურევენ და აქედამ ერთს ორთა-შუა წმინდა შემოსავალს დაადგენენ. ამ უკანასკნელს შემთხვევაში დიდ-მეტნაკლებობით გაწერა აუცილებელია და ასეთი დიდი მეტ-ნაკლებობა უსამართლობა იქნება, მით უფრო არა სასურველი, რომ ამ გზით მცირე შემოსავლიანი მამულის პატრონი დაიჩაგრება და დიდ-შემოსავლიანი-კი იშეღავათებს.

უამისოდაც ორთა-შუა წმინდა შემოსავალი, რაც გინდ ზედმიწევნით გამორკვეული იყოს, მაინც მცირე შემოსავლიან მამულისათვის მეტი იქნება და დიდ-შემოსავლიანისათვის ნაკლები. ეს ყველასათვის ცხადია და ამიტომაც საადგილ-მამულო გადასახადის სისტემის დადგენის დროს უნდა მორიდებულ იყვნენ, რომ მამულების დარგ-დარგ დაუყოფლობით უფრო არ გაძნელდეს სამართლიანი და შეტოლებული გაწერა გადასახადისა. ხოლო დარგ-დარგ დაუყოფლობით სამართლიანი და შეტოლებული გაწერა რომ გაძნელდება — ეს აშკარაა.

გვეტყვიან, თუნდ დარგ-დარგად იყოს გამორკვეული ორთა-შუა წმინდა შემოსავალი, მაინც ხომ ორთა-შუა შემოსავალთან ექმნება საქმე საადგილ-მამულო გადასახადის სისტემას და აქაც ხომ ორთაშუობის თვისება ის არის, რომ ყოველთვის უმცირესსზე მეტია და უდიდესზე ნაკლები. მაშასადამე, სამართლიანი და შეტოლებული გაწერა გადასახადისა აქაც იმავ ჭირშია, რაც პირველ შემთხვევაში. მართალია, მაგრამ აქ ეს აუცილებელი ჭირი ადვილად ხელში დასაჭერია და, მაშასადამე, ადვილად ასაცილებელიც.

ვთქვათ, გამოირკვა, რომ მთელ ამიერ კავკასიაში ორთა-შუა სახის მამული დღიურზე იძლევა ორთა შუა წმინდა შემოსავალს: ვენახი 10 მანეთს, სახნავი ორ მანეთს, ტყე და საძოვარი თვითო მანეთს. ვთქვათ, საადგილ-მამულო გადასახადი ორია შემოსავლის ასის თავზე. მაშინ გადასახადი დღიურ ვენახზე მოვა ერთი აბაზი, სახნავზე ოთხი კაპეიკი, ტყესა და საძოვარზე ორ-ორი კაპეიკი. ვთქვათ, ვენახები 50,000 დღიურია, სახნავები სამი მილიონი დღიური, ტყე და საძოვარიც ოთხი მილიონი. ამის კვალობაზე ამიერ-კავკასიის საადგილ-მამულო გადასახადი სულ ერთად შეადგენს 210,000 მანეთს წელიწადში. რომ არ აგვიჭრელდეს მაგალითი ვთქვათ, რომ ამიერ კავკასიაში სულ ხუთი გუბერნიაა. ეს 210,000 მანეთი ხუთს გუბერნიაზე უნდა გაიწეროს. როგორ? განა პირდაპირ ხუთად უნდა გაიყოს ეს 210,000 მანეთი? არა. პირდაპირ ხუთად რომ გაიყოს, მაშინ ცოდვაა იგი გუბერნია, რომლის ორთა-შუა შემოსავალი დღიურზე ნაკლებია და იგი გუბერნია, სადაც ეგ შემოსავალი მეტია, იშეღავათებს. ამ უსამართლობას ყოველთვის ერიდება წინდახედული საფინანსო სისტემა და თავისს დღეში არ შეიწყნარებს, თუ უნდა, რომ ერთობ საადგილ-მამულო გადასახადს თავისი გზა და სამართალი არ დაუკარგოს.

ამიტომაც უმაღლესი დაწესებულება, რომელსაც მიენდობა ხოლმე ამისთანა საქმეების გამგეობა, ადრიანვე შეკრებილ ცნობებისა და გვარად დღიურზე შეახვედრებს გადასახადს ზოგს გუბერნიას მეტს და ზოგს ნაკლებს და ამ გზით ზოგს გუბერნიას იმ 210,000 მანეთიდამ ბევრი შეხვდება გადასახადი, ზოგს ნაკლები ყოველ თვითეულს დღიურზე, რაც-კი გუბერნიაშია, იმისდა მიხედვით. ამ გზით მეტ-ნაკლებობა გადასახადისა დღიურის კვალობაზე გუბერნიათა შორის სწორდება და გადასახადი შეტოლებით ჰხვდება თვითეულს ცალკე გუბერნიას. ამიტომაც ვხედავთ შიდა რუსეთში, რომ ზოგი გუბერნია დესეტინაზე იხდის 5 კაპ. სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადს, ზოგი 3-ს, ამაზე ნაკლებსაც ასე, რომ ზოგს $^1/_2$, $^1/_4$ და $^1/_8$ კაპეიკამდე მოსდის დესეტინაზე.

საადგილ-მამულო გადასახადის სიმართლე ამასაც არა სჯერდება, ამასაც არა ჰკმარობს. იგი უფრო შორს მიდის და მეტს თანასწორობასა და შეტოლებას თხოულობს. ვთქვათ, გუბერნიაში ხუთი მაზრაა და აქაც ხომ შესაძლოა ერთის მაზრის ორთა-შუა სახის მამულმა მეტი ორთა-შუა წმინდა შემოსავალი იძლიოს დღიურზე და მეორისამ ნაკლები და აქაც ერთნაირად გაწერა გადასახადისა დღიურზე ერთისათვის ცოდვა იქნება და მეორისათვის უსამართლო მადლი. ვთქვათ, ხუთ მაზრიანს გუბერნიას ერთობილ გადასახადისაგან შეხვდა 40,000 მანეთი ზემოხსენებულ ანგარიშით. თვითო მაზრას აქედამ 8,000 მანეთი შეხვდება, პირდაპირ ხუთად რომ გავყოთ იგი 40,000 მანეთი. ხოლო ესეთი გაყოფა უსამართლობა იქნება, რადგანაც, როგორც ზემოთა ვთქვით, ზოგი მაზრა ორთა-შუა შემოსავლით მდიდარია, ზოგი ღარიბი. რომ ეს უსამართლობა არ მოხდეს, დაწესდება ხოლმე საგუბერნიო კრებული გადასახადისა (Губернское податное присутствіе), რომელმაც გუბერნიაზე გაწერილი გადასახადი თვითეულ მაზრას იმოდენად უნდა შეახვედროს, რამოდენადაც თვითეულ მაზრის ოთა-შუა წმინდა შემოსავალი ორთა-შუა სახის მამულისა გამოირკვევა. ამ ნაირად მეტ-ნაკლებობა გადასახადისა დღიურზე სწორდება მაზრათა-შორისაც და უტოლდება ერთმანეთს. ამის გამო ერთს მაზრას გუბერნიის ერთობილ გადასახადისაგან მეტი შეხვდება ხოლმე და მეორეს ნაკლები.

ესეც კიდევ არა კმარა, თუ სასურველია, რომ საადგილ მამულო გადასახადმა თავისი გზა და სამართალი ბოლომდე შეირჩინოს და ერთს ხარჯის მხდელს მეტი არ შეხვდეს და მეორეს ნაკლები, რადგანაც როგორც გუბერნიაში, ისეც მაზრაში ორთა-შუა წმინდა შემოსავალთან გვაქვს საქმე და თვითეულ ცალკე მამულის ორთა-შუა წმინდა შემოსავალი ზოგან ერთსა და იმავე მაზრაში მეტია, ზოგან ნაკლები. ამიტომაც სასურველია, რომ თვითეულ ხარჯის მხდელს მეტ ნაკლებობა გადასახადისა წმინდა შემოსავლის მეტ ნაკლებობის კვალობაზე გაეწეროს დღიურზე. ამის გამო სისტემა საადგილ-მამულო გადასახადისა საჭიროდ ჰხედავს დააწესოს სამაზრო კრებული გადასახადისა (Уѣздное податное присутствіе). ევროპაში ეს სამაზრო კრებული თვითეულ ცალკე სოფლის საზოგადოებას გაუნაწილებს ხოლმე მაზრაზე გაწერილს გადასახადს თვითეულ ცალკე საზოგადოების ორთა-შუა წმინდა შემოსავლის მიხედვით და იმ საბუთით, როგორც გუბერნია მაზრას უნაწილებს მეტ-ნაკლებობის შესწორებისა და შეტოლებისათვის. სოფლის საზოგადოების კრებული გადასახადისა თავისის მხრით საზოგადოებაზე გაწერილს გადასახადს თვითეულ ცალკე მემამულეს უნაწილებს თვის მიდამოში მისდა წმინდა შემოსავლის კვალობაზე. ამ სახით და ამ გზით თვითეულლი ცალკე მამული თითქმის ზედ მიწევნით აინუსხება ხოლმე საადგილ-მამულო გადასახადის მაგარ ნიადაგზე დაყენებისათვის და ხარჯის მხდელს მიზეზი არა რჩება ან უკმაყოფილებისა, ან საჩივრისა, იშვიათს შემთხვევის გარდა, რადგანაც ყველანი შესწორებულნი და შეტოლებულნი არიან, რამოდენადაც-კი ეს კაცთა ხელთაგან შესაძლებელია ამ წუთის-სოფელში.

ამ გზით სოფლის საზოგადოების თვითეულ მემამულეზე ცალკე გაწერილმა გადასახადმა ერთად თავ მოყრილმა, უნდა შეავსოს ის ჯამი გადასახადისა, რაც სოფლის საზოგადოებას მაზრისაგან შეხვდა, მაზრამ, რაც გუბერნიისაგან, გუბერნიამ, რაც უმაღლეს დაწესებულებისაგან და მთლად კი უნდა შესდგეს მთელი იგი 210,000 მანეთი, რაც ჩვენ მაგალითად ავიღეთ ვითომდა მთელ ამიერ კავკასიისათვის.

გადასახადის განაწილებაზე რომ ვლაპარაკობდით, ცალ-ცალკე აღარ ვახსენეთ ვენახი, სახნავი, ტყე და საძოვარი. არ გვინდოდა ტყუილ-უბრალოდ აგვეჭრელებინა ჩვენი წერილი, რადგანაც ამ შემთხვევაში ჩვენი სურვილი იყო დაგვენახვებინა მკითხველისათვის მარტო იგი გზა, რომელზე სვლით

*) იხ. „ივერია“ № 54.

---

თმინეთ ერთს წუთს.

ქალი მაშინვე გაბრუნდა და წუთს შემდეგ ისევ ფანჯარასთან გამოჩნდა. თან რაღასაც მოათრევდა, რომელიც დიდის წვალებით ძლივს აათრია ფანჯრის მოაჯირზედ კაცმა დაინახა ორი რკინის კავი, რომელთა გამაგრებასაც სცდილობდა ქალი მოაჯირზედ: წუთს შემდეგ ქალმა ძირს, ქუჩაზედ რაღაცა გადმოისროლა; ეს იყო თოკის კიბე, რომლის ბოლო ძირს მიწაზედ იდო.

ყმაწვილი კაცი მიხვდა ყველაფერს, გაჰქანდა და საღის ხელით მოეჭიდა კიბეს. მისი მდგომარეობა საშიში იყო, რადგან მარცხენა ხელს სულ ვერა ხმარობდა და საღი ხელი კი რომ დასცდენოდა როგორმე, ვეღარა იხსნიდა-რა; კარგა ხნის წვალების შემდეგ, როგორც იყო, მიაღწია ფანჯრის მოაჯირს, აქ დაღალულ-დაქანცული ძნელის და საშიშ ამოსვლით ერთს წუთს უძრავად დარჩა, მაგრამ წუთს შემდეგ ქალის ხმაზედ გამოერკვა, რომელიც უბრძანებდა აეტანა თან კიბე და მიეხურა ფანჯარა. მან მსწრაფლ აღასრულა ბრძანება და მიიხურა ფანჯარა. დროც იყო, რადგან დარაჯმა, რომლის ფეხის ხმამ ისე შეაკრთო გამოქცეული, ამ წუთს შანტერენის ქუჩაზედ შემოდგა ფეხი.

— დიდად გმადლობთ, ქ-ნო, წარმოსთქვა კაცმა. ჯერ ვერ გაერჩია იმისი სახე, რომელმაც ასე გაბედვით გადაარჩინა საშინელს განსაცდელს.

— ჩუმად, ღვთის გულისთვის,— გააწყვეტინა ქალმა ნაზის ყვედრებით: მე ხომ მარტო არა ვარ, ჩემი მოახლეც არის ქვევით და სრულიადაც არა მსურს გაიგოს, რომ ფანჯრიდგან სტუმრები მომდიან.

ამ სიტყვებს თან მომხიბლავი ღიმილი დაატანა, ფეხით კი ამ დროს სცდილობდა თოკის კიბე გაღებულს შკაფში შეედო. ამასთანავე თითქოს თავისთვის დაუმატა:

— თქვენი ბედი, რომ გამახსენდა ეს კიბე, დავიწყებული ოდესღაც ერთის შეყვარებულისაგან, რომელმაც იმ იმედით მაჩუქა, რომ ოდესმე მივცემდი ნებას ამითი ესარგებლა. მაგრამ კიბე არავის დასჭირებია და, ვგონებ, არც არავის დასჭირდება შემდეგშიაც.

აქ ის მობრუნდა და განცვიფრებულს უცნობს, რომელიც ეს-ეს არის ქალმა განსაცდელს გადაარჩინა, წარმოუდგა თვალ-წინ მომხიბლავის მშვენიერების, შავგრემანი, ახალგაზდა ქალი, მუქ-ღრმა თვალებიანი, რომლის უფერულს, მაგრამ სამაგიეროდ მარილიანს სახეს ხუჭუჭი, გიშერივით შავი, მხრებზედ უხვად დაყრილი თმა საუცხოვოდ ამშვენებდა.

—მგონი უნდა გიცნობდეთ,— წაიბუტბუტა განცვიფრებულმა ყმაწვილმა კაცმა: თქვენა ხართ mademoiselle ჟოზეტტა მარსენი, რესპუბლიკის თეატრის მსახიობი-ქალი. დახე ბედმა როგორ მიღალატა!

— რაო, რა გინდათ მაგითი სთქვათ?

— ისა, რომ მგლის კლანჭებში ვიმყოფები. თქვენ ხომ დირექტორიის უფროსის ბარრას საყვარელი ხართ?

ჯერი ეხლა ქალზედ მიდგა. ის ერთს წუთს შეკრთა, დაიბნა. მაგრამ მალე მოვიდა გონს და ამაყად წარმოსთქვა:

—მაგიტომ გგონიათ, რომ გაგცემთ? აი როგორ მიხდით მადლობას იმ დახმარებისათვის, რომელიც ეს არის ეხლა აღმოგიჩინეთ?

ისეთის ნდობით იყო სავსე კილო, რომლითაც ქალი მიუბრუნდა უცნობს, რომ ყმაწვილ-კაცმა ბოდიშის ხდა დაიწყო.

— შევცდი, მომიტევეთ, ღვთის გულისთვის!

— ვინა ხართ? მგონი მაქვს ნება თქვენი ვინაობა ვიკითხო.

— დიახ, ბატონო, და ჩემი გულწრფელი პასუხი დაგიმტკიცებთ, რარიგადა მრცხვენიან ჩემის უნდობლობისა. მე მქვიან როლანდ დებოლლიევრი და საიდუმლო აგენტი ვარ მისის უდიდებულესობის საფრანგეთის მეფისა.

— რითი შემიძლიან დაგეხმაროთ? ჰკითხა ცივად მარსენმა, რომელზედაც, როგორც სჩანდა, ყმაწვილის კაცის სინანულს არავითარი გავლენა არა ჰქონდა.

— ნება მიბოძეთ ეს ღამე თქვენს სახლში გავათიო და ხვალ დამეხმარეთ, რომ პარიჟიდგან გავიდე როგორმე.

— შეგიძლიანთ უშიშრად გაათიოთ აქ ღამე, ხვალ-კი ვეცდები ყოველგვარი შეწევნა აღმოგიჩინოთ თქვენის სურვილის ასრულებლად.

ხმაზედ, რომლითაც წარმოსთქვა ეს სიტყვები, აშკარად ემჩნეოდა, რომ ქალის წყრომა ჯერ კიდევ არ გაქარწყლებულიყო. ამისთვის როლანდმა წყნარად გააწყვეტინა:

— კიდევ ჯავრობთ ჩემზედ? გეფიცებით, რომ აზრადაც კი არ მომსვლია თქვენი წყენა...

მაგრამ მორეულმა სისუსტემ აღარ დაათავებინა. ჟოზეტტამ დაინახა, რომ იგი დაბარბაცდა და წუთს შემდეგ მუხლებში ღონე-გამოცლილი სკამზედ დაეშვა. სახეზედ საშინელმა სისუსტემ გადაჰკრა. შიშმა და სიბრალულმა უნებურად მოუცვა ქალს გული, რომელზედაც არა ნაკლებ ემოქმედნა ყმაწვილის კაცის სილამაზესა და იმისს მიმზიდველს ხმას.

— ცუდადა ხართ?— შეშინებით წარმოსთქვა ქალმა.

— სუბუქადა ვარ დაჭრილი და გუშინდელს აქეთ არც არა მიჭამია რა.

— საბრალოვ! მე კი ეგ სრული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საადგილ-მამულო გადასახადი თავისს სიმართლეს და სისწორეს მიაღწევს ხოლმე. ჩვენა გვგონია, რომ რაცა ვთქვით, ის ამისათვის საკმაოა და ერთნაირად მიეჩემება ყოველ დარგს მამულისას გუბერნიაში იქნება, მაზრაში თუ სოფლის საზოგადოებაში თავ-თავისს ვალობაზე.

## მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და სამსახურში გულს-მოდგინეობისათვის უბოძა ოქროს მენდლები: ქუთაისის გუბერნიის ქ. ოზურგეთის მცხოვრებს იაგორ ჭელიძეს, იმავე გუბერნიის ნიკოლაევის სასოფლო საზოგადოების მამასახლისს თეიმურაზ კოგუას, მარტვილის საზოგადოების მამასახლისს თეოფანე ხაჯალიას; გულზედ სატარებლად სიმამაცისათვის ოქროს მედლები: ხუსეინ ანანიძეს, ზემო აჭარის სასოფლო სასამართლოს ყადს ნური ეფენდი ბერიძეს, ქუთაისის გუბერნიის გუდაუთის ნაწილის საეროზო დარაჯუა უფროსს შახან გუბლიას, ბათუმის მილიციის დარაჯთ: ჰასან მამედ-ოღლი ინაიშვილს და ახმედ-ალა-ოღლი-კიკავას.

## ახალი ამბავი

⁂ ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-მაიორი ფ. კ. გერშელმანი.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მოხსენებით, უმაღლესად ნება დართულია ტფილისის გუბერნიის მდინარე ჩელტის ნაპირების გასამაგრებლად ტყის მასალა უსასყიდლოდ გამოიტანონ მახლობელ სახაზინო ტყეებიდგან.

⁂ ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის ზოგიერთ საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს ქუთაისის გუბერნიის მმართველობის წინაშე ახალის გზების გაყვანისა და შეკეთების შესახებ.

⁂ ამ უკანასკნელს დღეებში მტკვარმა თითქმის ერთის ადლით მოიმატა.

⁂ შაბათს, 11 მარტს, უკვე დასრულდა ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის ტყის მცველთა სხდომები, რომელიც ტფილისის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს სადგომში მოხდა. იმ სხდომის დადგენილებანი წარედგინება მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს განსახილველად. ამავე სხდომებზედ ამორჩეულ იქმნა დეპუტატად ყარაიაზის ტყის მცველი ბ-ნი სტებელსკი, რომელსაც დაევალა დაესწროს პეტერბურგში სახელმწიფო ტყის მცველთა საზოგადო კრებას.

⁂ ქუთაისის გუბერნიაში განუზრახავთ დაარსონ „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა“, რომელსაც აზრად ექმნება ხელი შეუწყოს როგორც აბრეშუმის მოვლა-მოშენების საქმეს, აგრეთვე ბამბისა და სხვა სასოფლო სამეურნეო დარგთა მოყვანას. ამხანაგობის წესდება უკვე წარუდგენიათ მთავრობისათვის დასამტკიცებლად.

⁂ როგორც ამას წინად გვქონდა მოხსენებული, ტფილისის ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო უფროსს ზედამხედველს მინდობილი ჰქონდა ქალაქის გამგეობისაგან, რომ დაწვრილებითი ცნობები წარედგინა დიდუბეში კადამცევისა და პანკინის სახლებში ცეცხლის გაჩენის გამო იქ მცხოვრებთა დაზარალების შესახებ. უფროსს სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველს ცნობები უკვე წარუდგენია გამგეობაში. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან 21 სახლობამდე, რომელთა ზარალი 3,800 მანეთს უდრის. როგორც იმის, გამგეობას განზრახვა აქვს შემწეობა აღმოუჩინოს დაზარალებულთ.

⁂ როგორც თევზის სამრეწველო გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, წარსულის წლის განმავლობაში, მტკვარში, ტბებსა და კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზედ დაუჭერიათ სულ 4,984,682 თევზი, აგრეთვე გაუკეთებიათ 22888 ფუთი ხიზილალა და 45922 წელა.

⁂ ქ. სოხუმის საეპარქიო მასწავლებელთა საბჭოს უთხოვნია გუბერნიის საეროზო თანხიდგან მომავალ 1901 წლის 1 იანვრიდგან სამის წლის განმავლობაში ათის სასოფლო-საეკკლესიო სკოლის შესანახად, ულარიბესს მოსწავლეთა დასახმარებლად და საბჭოს კანცელარიის და მის სამაზრო განყოფილებათათვის შესანახად სულ 5000 მან.

⁂ ქალაქ სოხუმში სასატიმროს აგების საქმე ქუთაისის საგუბერნიო მთავრობას წარედგინა განსახილველად.

⁂ ორშაბათს, 13 მარტს, საღამოს 8 საათზედ, გოლოვინის პროსპექტზედ როდესაც ცხენის რკინის გზით ერთმა მიმავალთაგანმა კონდუქტორისაგან ხურდა ფული მიიღო და ქისის ჯიბეში ჩადებას აპირებდა, წასწვდა ერთი იქვე მჯდომთაგანი გამოსტაცა ფულიანი ქისა და გაიქცა. დასაჭერად გამოუდგნენ პოლიციის მოხელე და ზოგიერთი გარეშენიც, მაგრამ ვერ დაიჭირეს.

⁂ დ. ზესტაფონი. ორშაბათს, 13 მარტს, ღამის 1 საათზედ, ვაჭარს ნიკოლოზ ბაღდავაძეს თავს დაესხნენ ავაზაკები და წაიღეს ფულად 715 მან., 2 ვერცხლის საათი და ერთი პალტო. ბაღდავაძე და მისი ნოქარი დაჭრილნი არიან თავში. ეტყობა, რომ თოფის კონდახები უცემიათ ავაზაკებს.

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ბრძოლის ველზე, ბლუმფონტენში ინგლისელების შესვლის შემდეგ, სიჩუმე ჩამოვარდა. ლორდი რობერტსი, როგორც ეტყობა, იმას ცდილობს, ჯერ-ჯერობით, რომ მეუდროება დაამყაროს ორანჟის რესპუბლიკის სამხრეთ და დასავლეთ მხარეს და თავისი ჯარი მოამზადოს პრეტორიაზე გასალაშქრებლად. ლონდონის გაზეთები ამბობენ, რომ ჩვენი ჯარები ისვენებენ ამ ჟამად შემდეგ სამოქმედოთ. როგორც ჭვაოქრობენ, რობერტსი მანამ არ დასძრავს ჯარს, სანამ ბლუმფონტენში არ მოაწყობს ახალ მართვა-გამგეობის საქმეს და ინგლისელების მიერ დაპყრობილ ადგილებს სავსებით არ დაამშვიდებს. კაპშტადტიდან იუწყებიან, რომ ლორდმა რობერტსმა ბლუმფონტენში ნება მისცა ორს ბანკს თავიანთი მოქმედება განაახლონ, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ არავითარი საქმე არ იქონიონ ტრანსვაალის არც ერთ ქალაქთან და აგრეთვე ორანჟის რესპუბლიკის იმ ადგილებთან, რომლებიც ჯერ კიდევ არ დამორჩილებიან ინგლისსო.

ორანჟის რესპუბლიკის სამხრეთ და დასავლეთ მხარეს შემდგარ მოწინააღმდეგეთა რაზმები, როგორც სჩანს, დაიშალა, და ბურები, რომლებიც ამ რამდენიმე დღის წინად გაბატონებული იყვნენ ბეტულიასა და ნორვალსპონტში, იქიდგან გაქრნენ. ინგლისურ გაზეთების სიტყვით, იმათი ერთი ნაწილი ინგლისელებს დამორჩილდა, ხოლო მეორე, უფრო მრავალ რიცხოვანი, სხვა ადგილებს წავიდა ლიდიეის წინამძღოლობით. ორანჟელ ბურების რაზმს კაცამდე ხაზუტენთან წასულა, მაგრამ ამაზედ უფრო ბევრს იარაღი ჩაუბარებია ინგლისის მთავრობისათვის ბლუმფონტენში.

იმის შესახებ, თუ ფელდმარშალი რობერტსი რომელი გზით გალაშქრებს ტრანსვაალისაკენ, ინგლისური გაზეთები შემდეგს იუწყებიან: „არ შეიძლება ამოვიცნოთ, რომ ლორდი რობერტსი პირდაპირი გზით წავა ბლუმფონტენიდგან პრეტორიაში. სხვა გზებიც არსებობს და, როცა დრო იქნება, ამათში ის იმას აირჩევს, რომელსაც სამჯობინოდ სცნობს. ყოველ შემთხვევაში, ეჭვს გარეშეა, რომ რობერტსი სტრატეგიული მოსაზრებით იხელმძღვანელებს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ეცდება მშვიდობიანობა დაამყაროს ყველა დაპყრობილ ადგილებში.“

— „Daily Mail“-ის სიტყვით, გენერალ ბულლერის მხედრობა შესდგება ოთხი ქვეითა ჯარისა და ერთი ცხენოსან—დივიზიისაგან, სულ-კი 40,000 კაცისაგან. მოქმედებას დაიწყებს ბულლერი აპრილის პირველ რიცხვებში. იმას დაგეგმილი აქვს შეაჩეროს ხოლმე ბურების მოძრაობა და დაიჭიროს ყველა გასავალი გზები და რკინის გზები ნატალის საზღვრებზე.

— გაზეთებში შემდეგი საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი: ინგლისელებისათვის დაუჭრიათ ბურებს 601 ოფიცერი, ამათგან მორჩენილა და ისევ დაბრუნებულა სამსახურში 67 კაცი; სალდათები და უნტერ-ოფიცრები დაუჭრიათ 8,755, ამათგან 705 კაცი განთავისუფლებულა ჭრილობისაგან და ბრძოლის ველზე დაბრუნებულა. ამ რიგათ, 9,356 დაჭრილთაგან მხოლოდ 772 კაცი დაბრუნებულა ჯარში, ე. ი. 9%-ზე ცოტა ნაკლები.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან
(ამოკრებილი ამბები)

ერთი რუსული გაზეთი მეტად საყურადღებო ამბავს იუწყება. ამ გაზეთის სიტყვით, ვინმე ლ—ს 22 წლის შვილი ჰყოლია. ეს ყმაწვილი კაცი 10 წელიწადია თურმე რაღაც უცნაურის ავადმყოფობით არის ავად. პირველად ყმაწვილს ავადმყოფობა მაშინ შეეტყო, როდესაც 9 წლისა ყოფილა. ყმაწვილი ვერავითარ საჭმელს ვერ იკარებდა, მაშინვე ასაქმებდა თურმე. ბოლოს ისე გასჭირებია საქმე, რომ დღეში ნახევარ ან მთელ ჭიქა რძესა სვამდა და მხოლოდ ამით იკლავდა თურმე სიმშილს. მრავალ მკურნალისთვის მიუმართავს დედ-მამას, სხვათა შორის, უჩვენებიათ ავადმყოფი პროფ. ბარანოვსკისა, ტრილლინგისა, ნუსბაუმისა და სხვათათვის, მაგრამ ვერც ამათ უშველნიათ რამე. ყველა მკურნალი იმას ამბობდა, რომ ავადმყოფის მორჩენა შეუძლებელიაო. ბოლოს ბევრის ცდის შემდეგ, ბავშვი შინვე წაუყვანიათ. მას აქეთ ეს ცხრა წელიწადია ბავშვი ლოგინად არის ჩავარდნილი; არ შეუძლიან არც ადგომა, არც დაჯდომა და, ასე გასინჯეთ, არც ხელისა ან ფეხის აწევა. დედ-მამა ძლივ-ძლივობით ჰკვებავს თურმე ბავშვს: შუადღისას ერთ ჭიქა რძეს ჩაასხამდნენ ხოლმე პირში, ეს იყო და ეს. ავადმყოფი ისე გამხდარა, რომ ჩონჩხს დამსგავსებია. ამ ყოფაში ყოფილა ყმაწვილი კაცი, როდესაც ბელოსტოკში, სადაც ეს ავადმყოფი სცხოვრობს, ცნობილი ო. ი. ფელდმანი მისულა, რომელიც, როგორც ვუწყით, ჰიპნოტიზმის შემწეობით ჰკურნავს ავადმყოფებს. დედ-მამას მაშინვე მიუწვევია ფელდმანი. ფელდმანს ჯერ დაუძინებია ავადმყოფი, შემდეგ შთაუგონებია, ამდგარიყო ლოგინიდგან და სიარული დაეწყო. ავადმყოფს წამოუწევია, მაგრამ იმდენად დასუსტებული ყოფილა, რომ ადგომა ვერ მოუხერხებია. ცოტა ხანს უკან მეორედ წამოუწევია, ჯერ წამომჯდარა, შემდეგ იატაკზედ ფეხზედ დამდგარა და ნელა, ბარბაცით, როგორც პატარა ბავშვს, სიარული დაუწყვია. ამ რიგად ცხრა წლის შემდეგ ავადმყოფს, ფელდმანის წყალობით, პირველად გაუვლია. როდესაც მეორედ დაუძინებია; შთაუგონებია ფელდმანს ავადმყოფისთვის, რომ საჭმელი ეჭამა. ავადმყოფს ესეც აუსრულებია. ასეთი სეანსი ფელდმანს ორჯელ კიდევ მოუხდენია და ავადმყოფი გარკურნების გზაზედ დაუყენებია. მას შემდეგ 4 თვეა თურმე და ყმაწვილი კაცი ფეხზედ წამომდგარა: ეხლა კარგადაცა სჭამს, სვამს და თავისუფლადაც დადის თურმე.

* * *

ამერიკაში, როგორც იქაური გაზეთები გადმოგვცემენ, მაგარ სასმელების ნაცვლად მაგარ საჭმელებს მიჰყვეს თურმე ხელი. ამ ჟამად მაღაზიებში იქ ბლომად იყიდება ერთგვარი ქადები, რომლებიც სპირტით არის

---

ადაც არ მომსვლია ფიქრად!

— და ამასთან თქვენმა წყრომამ... დაუმატა როლანდმა.

მაგრამ ჟოზეტტამ აღარ დაათავებინა, ჩაავლო ხელი, აიღო მეორეში იქვე ბუხარზედ მდგარი ანთებული სანთლიანი შანდალი, სწრაფად გამოვიდა დარბაზიდგან, სადაც ისინი იყვნენ და დერეფნის ბოლოში ოთახისაკენ გაემართა.

— თავისს დღეში ვერავინ მოიფიქრებს, თუ თქვენ აქა ხართ, სთქვა ქალმა, როდესაც ოთახში შევიდნენ, მაგრამ ერთს წუთით მარტო უნდა დაგტოვოთო,—დააბოლოვა და სუბუქის ნაბიჯით გამობრუნდა და გავიდა.

სრულიად დამშვიდებული როლანდი სიამოვნებით გადაწვა დივანზედ და მოსვენებას მიეცა. პირველად ეხლა გამოუტყდა თავისს თავს, რომ მარსენი საუცხოვო, მომხიბლავი ქალი იყო. ქალმა დიდხანს აღარ ალოდინა და წუთს შემდეგ კარებში გამოჩნდა. თან მოჰქონდა ლანგარზედ პატარა გრაფინით ღვინო, პური, ვარიის ფრთა და რამდენიმე ატამი.

— ბუფეტის შკაფში ამის მეტი ვერა ვიპოვე-რა! მზარეულის დაუხმარებლად ამის მეტს ველარას ვიშოვით. ჩემის აზრით, სრულიად მეტია, რომ იმანაც გაიგოს თქვენი აქ ყოფნა. ყოველ შემთხვევაში ეს სრულიად საკმარისია დაჭრილისათვის, რომელსაც ყოველი მკურნალი ყველაზედ უწინ ზომიერებას ურჩევს ხოლმე.

— ზომიერება, როდესაც შიმშილით სული ამომდის?

— სჩანს თქვენი ჭრილობა არც ისე საშიში ყოფილა. მაინც და მაინც საჭიროა ყველაზედ უწინ მისი დაბანვა და შეხვევა. ვახშმის ჭამას მერეც მოასწრებთ, ახლა კი რამდენსამე ხანს მოთმინებით აღიჭურვეთ.

მომხიბლავის ღიმილით, რომელსაც, აღარავითარი წყრომა აღარ აჩნელებდა, ქალმა მღელვარებისაგან აწითლებულის სახით მიაწოდა როლანდს ღვინით სავსე ჭიქა. სისუსტისაგან თუ აღელვებისაგან როლანდი ერთიანად თრთოდა, როდესაც ართმევდა ქალს თეთრის, მარმარილოს მსგავსის ხელებიდგან ჭიქას. ყმაწვილმა კაცმა სვენებ-სვენებით დალია ღვინო.

— ახლა გავსინჯოთ თქვენი ხელი,—დაიწყო ჟოზეტტამ.

— როგორ, განა თქვენ თითონ...

— რასაკვირველია, ეს ხომ აუცილებლად საჭიროა. მაშ ვინ შეგიხვევთ ხელს, თუ არა მე? ოღონდ კი არ იყოს საშიშო ჭრილობა, თორემ ძალა უნებურად ხვალ რომელსამე დოსტაქარსაც უნდა გაუზიაროთ ჩვენი საიდუმლო. რასაკვირველია, სჯობს უიმისოთ მოვახერხოთ... მეც კარგად შევასრულებ ამ საქმეს... კიდევ კარგი, რომ ერთგვარი ჭრილობისათვის ძალიან მარგებელი მალამო მაქვს.

როლანდის გაშიშვლებული ხელი ქალმა დიდის გულ-მოდგინებით დაჰბანა და მცოდნეს ადამიანის კილოთი სთქვა:

— ტყვია ძვალს არ მოხვედრია, საშიში არა-არის-რა. მალე მოგირჩებათ.

ასეთის თანაგრძნობით მოხიბლული როლანდი თითქმის სასოებით ადევნებდა თვალს ქალის მოძრაობას. როდესაც ჭრილობა შეუხვია, ჟოზეტტამ ჰკითხა: ახლა ხომ უკეთა ხართ?

— დიახ, გაცილებით!

— აბა ახლა, კეთილშობილო რაინდო, მაგიდას მიუჯექით, მე-კი გემსახურებით.

— არასოდეს! მაგის ნებას არ მოგცემთ.

— სცდებით, მბრძანებელი და ნების მიმცემი მარტო მე ვარ და სხვა არავინ!

ამ სიტყვებით ქალმა მიუწია პატარა მაგიდა, რომელზედაც შემოსვლისას დასდო ლანგარი ვახშმით, მაგრამ სწორედ ამ დროს მოისმა უცებ ქუჩაზედ ეტლის ხმაურობა. მარსენი მთლად სპენად გარდაიქცა, სახეზედ აშკარად დაეტყო შეშფოთება. თვლების ხრიალი ქვაფენილზედ თან-და-თან ძლიერდებოდა და წუთს შემდეგ უცებ შესწყდა: ეტლი სახლის მისავალთან გაჩერდა.

— რა უდროოდ არის!—უსიამოვნოდ წარმოსთქვა ჟოზეტტამ: უნდა დაგტოვოთ; კარგი კიდევ, რომ ისეთს მდგომარეობაში ხართ, რომ ჩემი აქ ყოფნა არ არის საჭირო, ივახშმეთ, შემდეგ დაწექით და დაიძინეთ; ხვალ-კი ვეცდები როგორმე გაგაპაროთ აქედგან.

— როლანდის გულიდგან ეხლა-კი იჭვი სრულიად განიფანტა. იგი აღსავსე იყო მარტო განუზომელის მადლობით ამ ქალის მიმართ, რომელმაც იმას, სრულიად უცნობს კაცს, შველა და დახმარება აღმოუჩინა სწორედ იმ დროს, როდესაც თავი დაღუპულად მიაჩნდა. ამ გრძნობით გამსჭვალული დაიხარა და ყმაწვილის ქალის ფაფუკი ხელი ტუჩებთან მიიტანა და დაეკონა. წუთს შემდეგ მარსენი კარებთან იყო, მაგრამ ვიდრე ზღურბლს გადაადგამდა ფეხს, ერთხელ კიდევ მობრუნდა და სიცილით უთხრა:

— იქნებ არ გესიამოვნოთ, რომ კარებს დაგიკეტავ? მაგრამ, რას იზამთ, ამ ჟამად ჩემი ტყვე ხართ და უნდა დამემორჩილოთ!

და ამასთან ნაზის, ნარნარის რხევით გავიდა და გაიკეტა კარი. როლანდს აშკარად მოესმა, როგორ გადატრიალდა კარებში რამდენჯერმე გასაღები და წუთს შემდეგ ნელ-ნელა ქალის ფეხის ხმა მისწყდა.

(შემდეგი იქნება)

თურმე გაჟღენთილი. ეს ქადები არაფზედ უფრო მალე და მაგრა ათრობს კაცს. ამერიკის მთავრობას უკვე მიუქცევია ყურადღება ამისთვის და აუკრძალავს ამ ქადების გაყიდვა. ქადებს გარდა ამერიკაში იყიდება ერთგვარი ლედენცებიც, აგრეთვე სპირტით გაჟღენთილი.

* * *

ჰოლანდიის საერო განათლების სამინისტროს ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებს ველოსიპედები დაურიგონ და ასწავლონ იმით სიარული. აზრადა აქვთ სავალდებულოდ გაჰხადონ ყველა მოსწავლისათვის ამ „საგნის“ სწავლება. სამინისტროს განუზრახავს თითო სასწავლებელს ოც-და-ხუთ-ხუთი ველოსიპედით დაურიგოს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 მარტი

**პეტერბურგი.** 14 მარტს, დიდის მთავრის ალექსიი ალექსანდრეს ძის თავმჯდომარეობით დაიწყო სრულიად რუსეთის ხელოსანთა კრება. კრების დაწყებისას მისმა უმაღლესობამ სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, განაცხადა; „ქარხნისა და ფაბრიკის პატრონებს სამრეწველო კრებებზედ არა ერთხელ აღუძრავთ ლაპარაკი მსხვილ წარმოების შესახებ და ამასთან შუამდგომლობა დაუწყიათ თავიანთ საჭიროებათა შესახებ. თქვენ, ხელოსნებმა, რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდგან პირველად შეკრებილებმა, სამეცნიერო საზოგადოებათა წარმომადგენლებთან ერთად, უნდა გამოსძებნოთ და განიხილოთ ის ზომები, რომელნიც ხელს შეუწყობენ სახელოსნო წარმოების განვითარებას, თქვენ კეთილ-დღეობას და იმ ურიცხვ შეგირდების მდგომარეობის განკარგებას, რომელნიც თქვენ ხელმძღვანელობით იზრდებიან და სწავლობენ ხელობასაო“.

14 მარტს ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული იმპერატორ ალექსანდრე III ის მუზეუმში brძანდებოდნენ.

**პრეტორია.** გენერალი ჟუბერი კრონშტადტიდგან აქ მოვიდა. გენერალს იმედი აქვს მალე ნატალში დაბრუნდეს.

**ხ. მენსტაუნი.** აქ მყოფ ტყვეთა მორის ( ეს ტყვიები ე[illegible] არიან) ავადმყოფობა თან დათან ძლიერდება. დღეს ორი გარდაიცვალა, ორი კიდევ დასაფლავებულ იქმნენ, ამასთან კუბოებზე ტრანსვაალის დროშა აღმართეს. 100 მდე ბურია ავადმყოფი.

**ლონდონი.** 13 მარტი. „Daily News“-ს დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტენიდგან: „ფრენჩი დაბრუნდა აქ ცხენოსანის ჯარით. გზაში ფრენჩი მტერს არ შეჰხვედრია. ბევრი ბურგერი ბრძოლას თავს ანებებს და იარაღს იხსნის“.

შანხაიდგან „Daily Mail“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ იმპერატრიცამ ბრძანება გასცა, ჩინეთის სამხედრო გემები „გაიტიენი“ და „დაიჯოუ“ მალაკის სრუტეში წავიდნენ და იქ გაგზავნილ კაცებთან ერთად ეცადნენ შეიპყრონ კან-იუვეი და სხვანი, ცვლილებათა მომხრენიო“.

**პარიჟი.** ლუბე დაბრუნდა დილის 9 საათზედ.

მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, რომ გამოფენა 1 აპრილს დაიწყოს.

**ლონდონი.** „Daily Mail“-ს დეპეშით ატყობინებენ ლედი-სმიტიდგან 13 მარტს: „დღეს ამბავი მოვიდა, რომ ბურები ვანრენის გასავალში ძრიელ გამაგრდნენო. მაღლობებზედ ბურებს ზარბაზნები დაუდგამთ.

იმავე გაზეთს კაპშტადტიდგან ატყობინებენ, რომ დღეს, 13 მარტს, კიმბერლეიდგან გავა ექსპედიცია, რომელიც ბურების მიერ დაჭერილ კრიკუატაუნისკენ წავაო.

15 მარტი

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტენიდგან: „გუშინ, რეკოგნოსციროვკის დროს ბურები პოზიციიდგან იქმნენ განდევნილი. ინგლისელების ზარალი მცირეა“.

რადგანაც იოგანესბურგის მადნებში მომუშავეებს იოგანესბურგის გარეშემო გორაკებზედ შანცებს აკეთებინებენ, ამიტომ კრაუნრიფის მადნები დახურულ იქმნა. ჰფიქრობენ, რომ სხვა მაღაზიებშიაც შესწყვეტავენ მუშაობას.

როგორც „რეიტ. სააგ.“ იუწყება, უელსის პრინცი პარიჟის გამოფენის გახსნას არ დაესწრება.

**მასსერუ.** დღეს დილით მცირე რაზმი ლედი-ბრანდტში შევიდა, ამასთან რაზმმა ბურები განდევნა. მაგრამ შემდეგ ბურებმა იერიში მიიტანეს ინგლისელებზედ. ინგლისელი სამია დაჭრილი, ბურები-კი რვა. ბურებს აზრადა აქვთ შეაჩერონ ინგლისის ჯარი იმ დრომდე, ვიდრე არ გაივლიან სენეკალში მომავალი მათი ურმები, სურსათით და სხვა ნივთებით დატვირთული.

**ნოტტინგემი.** დღეს ლიბერალურ ასსოციაციის ყრილობა მოხდა. დაესწრო 1200 დელეგატი. მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელშიაც განმეორებულია ის, რაც ოპოზიციამ პარლამენტში წარმოსთქვა, სახელდობრ, ნათქვამია, რომ მთავრობის პოლიტიკას სამხრეთ აფრიკაში აკლია საქმის ვითარების ცოდნა, წინდახედულობა და სამართლიანობა. შემდეგ გამოთქმულია ზომები უნდა იქმნას მიღებული, რომ ბურებს ხელ-ახლა აღარ შეეძლოთ შეიარაღება, ამავე დროს გამოცხადებული, რომ მცხოვრებთა სურვილი ჩხედვილობაში იქმნას მიღებული და სამხრეთ აფრიკის ყველა ნაწილს მიენიჭოს სრული თვით მმართველობაო.

**ვენა.** საგეოგრაფო საზოგადოების წლიურ კრებაზედ დღეს საზოგადოების წევრად არჩეულ იქმნა კავკასიის მუზეის და ტფილისის საჯარო წიგნთ-საცავის დირექტორი გუსტავ რადდე.

**ლორენცო-მარკეზი.** ირლანდიელი ნაციონალისტი მიხეილ დივიტი აქ მოვიდა გემით. გემზედ 90 სხვა მგზავრებიც იყო, მათ შორის უმრავლესობა ტრანსვაალში მიდის.

**პაარლი.** აქ აფრიკანდერთა კავშირის კრება მოხდა. გარგროვმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ბურები არაოდეს არ შეურიგდებიან ინგლისელთა ბატონობას და ექვსის წლის შემდეგ ახალი ომი მოხდება. თუ ორივე რესპუბლიკა, რომელნიც მხოლოდ სამართლიანობას თხოულობენ, დამოუკიდებლობას არ მიიღებენო. კაპის ახალშენის საკანონმდებლო კრების წევრმა მარემ სთქვა, რომ ომი ჯემსონის შესევის გაგრძელებააო. დასასრულ, დიდის უმრავლესობით მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ინგლისის იმპერიისთვის მეტად მავნებელი იქმნება შედეგი ამ ომისა, თუ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკათა დამოკიდებულობა დაცული არ იქმნებაო.

**პეკინი.** ჩრდილოეთში საიდუმლო საზოგადოების შორის დიდი მოძრაობაა. ამბავი მოვიდა, რომ შეტაკება ჰქონდა ჯარსა და საზოგადოების წევრებს. დაჭრილი და მოკლული ბევრია.

პეტერბურგის ბირჟა, 14 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%₀₀ ს. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 218 |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | | — „ | 91⅜ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 97½ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 99 | — „ |
| 4½%იმავე ბანკისა | — „ | 92 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 97¼ | — „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | 91 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 298½ | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 260½ |

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკი „ისტორია ქართულ სტამბისა და წიგნის ბეჭდვისა“,—გამოც. ზ. ჭიჭინაძის მიერ. წიგნაკი 55 გვერდს შეიცავს და ჰღირს სამ შაურად. წიგნაკი მრავალ-საყურადღებო ცნობას შეიცავს. დაწვრილებით ამ წიგნაკის შინაარს შემდეგ გაგაცნობთ მკითხველებს.

## განცხადებანი

**რადგანაც განვიზრახე მოვსპო სამეურნეო მანქანებით ვაჭრობა, აგრეთვე გავაუქმო მაღაზია,** რომელიც მიხეილის პროსპექტზედ, №№ 79-ა და 79-ბ, საკუთარ სახლშია, ამიტომ ვნიშნავ 6 მარტისათვის საბოლოო გაჭრობას ყველა ნივთებისას. გაიყიდება შემდეგი ნივთები: წყლის ამოსაღები, სანიავებელი, ხორბლისა და ბამბის საწმენდი მანქანები, გუთნები, ღვინის საწურავები, სამკალი მანქანები, ტყავის ნაწარმოები, დანები, მაკრატლები, ლამფები და სხვა.

ყველა ნივთები ნაღდ ფულზედ გაიყიდება, საფქვავ და თვით-მოსიარულე ომნიბუსის გარდა, რომლების ფასიც შეიძლება მყიდველმა ნაწილ-ნაწილ შემოიტანოს.—მაღაზია, საწყობი და სარდაფი ქირით იძლევა.—აზრადა მაქვს შემდეგში მხოლოდ იჯარება ავიღო და მსურველთათვის მანქანები და სხვა და სხვა საქონელი გამოვიწერო. ჩემი კანტორა მოთავსებული იქმნება ჩემის სახლის ეზოში მიხეილის პროსპექტზედ.

(10—6.—8) გ. ა. კრაუზე.

## ნ. ა. საბაევის მაღაზია

აცხადებს, რომ რადგანაც ბევრი საქონელია ამ ჟამად მაღაზიაში თავმოყრილი და მრავალია აგრეთვე ცალ-ცალად, რაც დიუჟინს არ ავსებს და მთელს სერვიზსაც არ შეადგენს,

**15 მარტიდგან 9 აპრილამდე მოხდება**

## დიდი ვაჭრობა

გაიყიდება შემდეგი ნივთები:

ჭურჭელი: ფაიფურისა, ფაიანსისა (ქაშანურისა), შუშისა; სერვიზი: სადილისა და ჩაისა. ლამპრები და მელქიორიდგან გაკეთებული ნივთები, ოჯახისთვის საჭირო ნივთები.

— სხვა და-სხვა აველ-ეულობა. —

გაიყიდება ყველა ეს საქონელი ნამდვილის ფასის 25%-დგან 50%-ამდე დაკლებით.

ჩემს მაღაზიაში დანიშნული ვაჭრობა არაფრით არა ჰგავს იმ ვაჭრობას, რომელიც ხშირად იმართება სხვა მაღაზიებში. ჩემს მაღაზიაში ვაჭრობა მხოლოდ იმიტომ მოხდება, რომ ბევრი საქონელი შეიკრიბა და მრავალია დიუჟინ და სერვიზ-შეუსრულებელი.

ვაჭრობა ცალკე განსაკუთრებულ ამისთვის მოწყობილ სადგომში მოხდება ოლღინის ქუჩაზედ, ჩემის ავეჯეულობის მაღაზიის გვერდით.

იმედი მაქვს, რომ პატივცემული საზოგადოება უყურადღებოდ არ დამტოვებს.

(15—6.—3) ნ. ა. საბაევი.

დასასრული

## ქართლის ცხოვრებისა

მესამე წიგნი

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ფასი ორი აბაზი. იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.



## რა უპირატესობა აქვს სხვა საზოგადოებასთან შედარებით ნიუ-იორკის საზოგადოებაში სიცოცხლის დაზღვევას?

**ის,** რომ ეს საზოგადოება ერთი უდიდესთაგანია და სანდოა დედამიწაზედ.

**ის,** რომ იმისი აქტივი 416,773,000 მანეთს აღემატება.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება საურთი-ერთოა და იმისი თანხები და მოგებანი დაზღვეულთა საკუთრებას შეადგენს.

**ის,** რომ „ნიუ-იორკს“ საპატიო წარსული აქვს, 54 წელიწადი არსებობს, რომლის განმავლობაშიაც იმის საფინანსო ძალა და წარმატება პროგრესიულად იზრდება,

**ის,** რომ იმის პოლისები ნაღდი და ეჭვ შეუტანელია, თუ პრემია თავისს დროზედ იქმხება მეტახილი, საზოგადოება დაუყოვნებლივ და უდავოდ იხდის დაზღვევის გადასახადს და, ამ რიგად, დამზღვევს სრული იმედი უნდა ჰქონდეს, რომ იმისი ქვრივი და შვილები ანუ კანონიერი მემკვიდრენი უდავოდ მიიღებენ თანხას.

**ის,** რომ იმისი პოლისი სამის წლის შემდეგ დაურღვეველი ხდება იმ შემთხვევაში, თუ შეჩერებულ იქმხა პრემიების გადახდა, დაზღვევის წინ-ნდელი თანხა მაინცა რჩება რამდენისამე წლის განმავლობაში უხარჯოთ, ანუ დამზღვევს შეუძლიან მიიღოს დაკლებულის ფასით სრულად ფას გარდახდილი პოლისი იმავე პირობებით, რა პირობებითაც პირველი პოლისი იყო, ანუ, დასასრულ, შეუძლიან ნაღდ ფულად მიიღოს პოლისის ფასი.

**ის,** რომ თუ პოლისი ძალაში იქმნება სამი წლის განმავლობაში მაინც, დამზღვევს შეუძლიან მიიღოს საზოგადოებისაგან სესხი წლიურის 6%-საგან.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება ისეთს პოლისებსაც იძლევა, რომლის ძალითაც, დაზღვეულის თანხის გარდახდის გარდა, მემკვიდრეებს დაუბრუნდებათ დაზღვევისათვის შეტანილი ყველა პრემია იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი გარდაიცვლება ხელ-შეკრულობით დადებულ ვადის—10, 15 ან 20 წლის,—განმავლობაში.

**ის,** რომ „ნიუ იორკის“ საზოგადოებას სამუდამო წინდად შეტანილ 500,000 მანეთის გარდა, საპრემიო ფული რუსეთში დაზღვეულთა დასაკმაყოფილებლად შეაქვს სახელმწიფო ბანკში. ამ ჟამად განსაკუთრებული ფონდი მცნახულის ფულისა „ნიუ-იორკის“ საზოგადოებაში იმ დაზღვეულთა, რომელნიც რუსეთში სცხოვრობენ, 9,053,000 მანეთს აღემატება.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის საზოგადოების მოქმედება რუსეთში რუსეთის მთავრობის კონტროლის ქვეშ იმყოფება, ასე რომ პოლისები ყოველის მხრით უზრუნველ ყოფილია.

**ის,** რომ ყველა დასახელებულ პირობათა გამო, „ნიუ-იორკის“ საზოგადოების პოლისი არც ხარჯს შეადგენს და არც მეტ რასმეს დამზღვევისათვის: იგი საუკეთესო ქონებაა, რომელიც ყველას შეუძლიან დაუტოვოს თავისს ოჯახს, რადგანაც იგი შეიძლებს ფულად იქმნას გარდაქცეული და ისეთ დაბრკოლებას აცილებულია, როგორიც მიწის ან უძრავ ქონების რეალიზაციის დროს ხდება, და აგრეთვე ბირჟის ცვალებადობას არ ექვემდებარება.

**ის,** რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება ერთად ერთი დაწესებულებაა, რომელიც აზღვევს სიცოცხლეს ყველა ზემოდ დასახელებულ უპირატესობით.

მთავარი გამგეობა რუსეთისათვის: პეტერბურგი, მალაია მორსკაია, 12.

საზოგადოების საქმეთა მთავარი გამგე რუსეთში **პ. პ. მელლერია.**

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პროსპექტი, ახალი სახლი არაფელოვისა (კადეტის კორპუსის პირდაპირ)

(12- -50—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 марта 900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე